საქართველოს მთავრობის

დადგენილება №57

2024 წლის 29 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის №129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის №129 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/03/2021, 300280000.10.003.022682) და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის“ დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

„დანართი №1

განცალკევების პროცესის განხორციელების პარალელურად და მისი დასრულების შემდგომ, გამონაკლისის სახით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“/„გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ მიერ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ თანამშრომლობით დასასრულებელი მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი:

პროექტის დასახელება	**სიგრძე, კმ**	**DN, მმ**	**დასრულების დრო**
ქობულეთის განშტოება	18,3	500	2024
ნატახტარი-წილკანი-ქსანი	18,2	700	2023
საჰაერო გადასასვლელი არაგვზე საგურამოში	2,9	700	2025
ხაშური-ზესტაფონი	70	700	2026
ასპინძა-ქოთელია	23	300	2026
ლეხურა-სვენეთი	20,6	700	2025
ახალციხე-უდე	16	300	2026
ლოკალური აღდგენითი (კაპიტალური) სამუშაოები			2021 – 2026

საჭიროების შემთხვევაში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გადასცემს „გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“ საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ყველა უფლებასა და ვალდებულებას (სადაც ეს შესაძლებელია), რაც საჭიროა 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაწყებული ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის მშენებლობის/რეაბილიტაციის პროექტების ეფექტიანი და შეუფერხებელი დასრულების უზრუნველსაყოფად.

შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიში „გადამცემი ქსელის მესაკუთრემ“, სულ მცირე, წელიწადში 2-ჯერ უნდა წარუდგინოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, პროექტების მიმდინარეობას გაუწიოს ზედამხედველობა.

ზემოხსენებული პროექტების დასრულების შემდეგ შესაბამისი აქტივები აისახება „გადამცემი ქსელის მესაკუთრესა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ შორის დადებულ იჯარის ხელშეკრულებაში.“.